წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის

ოქმი №26

ქ. თბილისი *1.07.2010 წ.*

დღის წესრიგი:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს ახალი წევრებისათვის უფლებამოსილების ცნობა;
2. თსუ-ს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;
3. თსუ იურიდიული ფაკულტეტის დებულების დამტკიცება;
4. „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 30 სექტემბრის №141 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე აკადემიური საბჭოს 25.06.2010 წლის №72/2010 დადგენილების დამტკიცება;
5. თსუ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხი;
6. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატის დამტკიცება.

სხდომას ესწრებოდნენ:

წარმომადგენლობითი საბჭო 21 წევრით (მათ დაემატა კიდევ 8 წევრი ახალი წევრებისათვის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ);

აკადემიური საბჭო 11 წევრით;

თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი რომან ხარბედია, ფაკულტეტებისა და თსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები;

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული.

1. წარმომადგელობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ აღნიშნა, რომ თსუ-ს საარჩევნო კომისიამ მიმდინარე წლის 29 ივნისის სხდომაზე დაამტკიცა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნების შედეგები. თსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ჯენარო ქრისტესაშვილის მოხსენებითი ბარათის (30.06.2010 წ. №15876) მიხედვით, კომისიამ თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნებში გამარჯვებულად ცნო შემდეგი კანდიდატები:

ა. იურიდიული ფაკულტეტი ბექა ბენდელიანი;

ბ. მედიცინის ფაკულტეტი – ნინო ცინცაძე;

გ. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – არნოლდ გეგეჭკორი; მიხეილ ადუაშვილი; ვასილ გუბაძე;

დ. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – კონსტანტინე ნახუცრიშვილი;

ე. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ბექა ახლოური;

ვ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი – გივი ჭლიკაძე.

სპიკერმა ასევე აღნიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპიკერისა და თსუ საარჩევნო კომისიის სახელზე შემოსულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის სალომე ომიაძის განცხადება (30.06.2010 წ. №15872), რომლითაც იგი უარს ამბობს შემოვიდეს თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში როგორც ადგილმონაცვლე და ხსნის მის კანდიდატურას ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორის მიხეილ ბახტაძის სასარგებლოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა წარმომადგენლობითი საბჭოს ახალი წევრებისათვის უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა აღნიშნულ საკითხზე.

კენჭისყრაში მონაწილეობდა წარმომადგენლობითი საბჭო 21 წევრით;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 21;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

ცნობილი იქნეს ბექა ბენდელიანის, ნინო ცინცაძის, არნოლდ გეგეჭკორის, მიხეილ ადუაშვილის, ვასილ გუბაძის, კონსტანტინე ნახუცრიშვილის, ბექა ახლოურის, გივი ჭლიკაძისა და მიხეილ ბახტაძის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის უფლებამოსილება.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილია წესდებაში შესატანი ცვლილება და დამატებები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" X თავის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტი არეგულირებს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესს, კერძოდ:

1. უნივერსიტეტის წესდებას შეიმუშავებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.
2. უნივერსიტეტის წესდების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტით. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგელობის ნახევარზე მეტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოების წინაშე წარმოდგენილია წესდებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტი შემდეგი სახით:

1. წესდების მე-25 მუხლის 1-ელ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ[1]" ქვეპუნქტი:

თ[1]. იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის მიერ კერძო სამართლის (სამეწარმეო (კომერციული) და არასამეწარმეო (არაკომერციული)) იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ.

2. შევიდეს ცვლილება და დამატება წესდების 65-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. **უნივერსიტეტი შეიძლება ეწეოდეს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა ეკონომიკურ საქმიანობას, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამასთან „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად უნივერსიტეტი არსებითად არ უნდა გადავიდეს სამეწარმეო საქმიანობაზე.**
2. **საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აფუძნებს კერძო სამართლის (სამეწარმეო (კომერციული) და არასამეწარმეო (არაკომერციული)) იურიდიულ პირებს.**

წარმოდგენილი ცვლილებების შესახებ აზრი გამოთქვეს: აკადემიური საბჭოს წევრმა ალექსანდრე შენგელაიამ და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა გია ჟორჟოლიანმა.

აღნიშნულ საკითხე გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც კანონმდებლობისა და თსუ-ს წესდების შესაბამისად მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 29 ;

წინააღმდეგი 0;

თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

შეტანილი იქნეს ცვლილება და დამატებები წესდებაში წარმოდგენილი სახით და იგი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს.

3. წარმომადგელობითი საბჭოს სპიკერმა დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით სიტყვა გადასცა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მ.შ დავით ბოსტოღანაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს მიერ შემუშავებული იქნა იურიდიული ფაკულტეტის დებულება და იგი წარმოდგენილია წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად. დებულების ირგვლივ ინფორმაცია საბჭოებს ასევე წარუდგინა იურიდული ფაკულტეტის წარმომადგენელმა დიმიტრი გეგენავამ.

დოკუმენტის ირგვლივ გაიმართა მსჯელობა, რომელშიც მონაწილეობდნენ აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: გიორგი ხუბუა, გუგული მაღრაძე, ალექსანდრე შენგელაია, გიორგი დავითაშვილი, აკაკი ყულიჯანაშვილი, გიორგი გოგსაძე, გია ჟორჟოლიანი; ძირითადად საკითხი შეეხო ფაკულტეტებზე ინსიტუტების შექმნის საკითხს, ანაზღაურების პირობებს. კონკრეტულად აღინიშნა, რომ ფაკულტეტის ინსტიტუტები უნდა ფინანსდებოდნენ არა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, არამედ მათ მიერ მოზიდული თანხებით.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდენ:

წარმომადგენლობითი საბჭო 29 წევრით;
აკადემიური საბჭო 11 წევრით;

აღნიშნულ საკითზე გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც კანონმდებლობისა და თსუ-ს წესდების შესაბამისად მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 29;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს იურიდიული ფაკულტეტის დებულება წარმოდგენილი სახით.

4. სპიკერმა კახაბერ ლორიამ წარმომადგენლობითი საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 30 სექტემბრის №141 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე აკადემიური საბჭოს 25.06.2010 წლის №72/2010 დადგენილება.

აღინიშნა, რომ ცვლილებები და დამატებები განპირობებულია დოკუმენტის სრულყოფისა და არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, კერძოდ, შესატანი ცვლილების საფუძველზე დადგინდება რეგისტრაციის ვადები, არჩევნების დაწყების დრო, ასევე დოკუმენტი შესაბამისობაში იქნა მოყვანილი თსუ-ს წესდებასთან.

გაიმართა კენჭისყრა აღნიშნულ საკითხზე.

კენჭისყრის შედეგი:

კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა: წარმომადგენლობითი საბჭო 29 წევრით;

მომხრე 29;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 30 სექტემბრის №141 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე აკადემიური საბჭოს 25.06.2010 წლის №72/2010 დადგენილება.

5. სპიკერმა მე-5 საკითხთან დაკავშირებით სიტყვა გადასცა იურიდიული დეპარტამენტის უფროსს ლელა ბენიძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III და V სასწავლო კორპუსების სამართლებრივი რეგისტრაცია.

როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 31.05.2010 წლის №16/1709 და №16/1708 წერილებით გვეცნობა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის №8820092022656-03 (14.07.2009) და №882009202704-03 (15.07.2009) გადაწყვეტილებებით, შეჩერებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III და V სასწავლო კორპუსების შენობა-ნაგებობებისა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრის მიერ გაცემულ №2969/2000 და №2968/02 ამონაწერებში ცვლილებების შეტანის სარეგისტრაციო წარმოება, აღნიშნულ უძრავ ქონებებზე ქ. თბილისის მერიასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 17.05.2000 წელს გაფორმებული მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ ხელშეკრულებების რეგისტრაციის გამო.

შესაბამისად, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლიდან გამომდინარე, თსუ-ს ადმინისტრაცია ითხოვს თანხმობას, რათა ქ. თბილისის მერიის წინაშე დაისვას საკითხი ქ. თბილისის მერიასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწოფო უნივერსიტეტს შორის 2000 წლის 17 მაისს გაფორმებული მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ ხელშეკრულებების (III და V სასწავლო კორპუსები) გაუქმებასთან დაკავშირებით, რათა შემდგომში უზუნველყოფილი იქნას აღნიშნული უძრავი ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, მისი უნივერსიტეტისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემის მიზნით.

გაიმართა კენჭისყრა აღნიშნულ საკითხზე.

კენჭისყრის შედეგი:

კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა: წარმომადგენლობითი საბჭო - 29 წევრით;

მომხრე 29;
წინააღმდეგი 0;
თავი შეიკავა 0;

მიღებული გადაწყვეტილება:

გაიცეს თანხმობა თბილისის მერიასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 17.05.2000 წელს გაფორმებული მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ ხელშეკრულებების გაუქმებასთან დაკავშირებით.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა აღნიშნა, რომ დასამტკიცებლად წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურა.

აკადემიური საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის შედეგად შერჩეული იქნა რომან ხარბედიას კანდიდატურა. სპიკერმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ბ-ნ რომან ხარბედიას მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, შემდგომ სიტყვა გადაეცა თავად კანდიდატს, რომელმაც მოკლედ ისაუბრა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ.შ. თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ და მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ყველა პერსონალს თანადგომისთვის და მხარდაჭერისათვის, ასევე აღნიშნა ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელსაც გრძნობს უნივერსიტეტისა და მთელი საზოგადოების წინაშე.

ბ-ნ რომან ხარბედიას კანდიდატურასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: ალექსანდრე შენგელაიამ, ცირა ბარამიძემ, გიორგი გოგსაძემ, არნოლდ გეგეჯკორმა. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ბ-ნი რომანი არის ძალიან გულისხმიერი ადამიანი, თავისი საქმის პროფესიონალი, შრომისმოყვარე, კარგი მეცნიერი.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით, ფარული კენჭისყრით ამტკიცებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრის ჩასატარებლად ერთხმად იქნა არჩეული ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. რამაზ ქურდაძე თავმჯდომარე;
2. ცირა ბარამიძე – მდივანი;
3. გიორგი გოგსაძე
4. ელგუჯა მექვაბიშვილი
5. დავით კერესელიძე

კენჭისყრის წინ რეგისტრაცია გაიარა და საარჩევნო ბიულეტენი მიიღო წარმომადგენლობითი საბჭოს 28 წევრმა, რაც დაფიქსირდა შესაბამისი ხელმოწერებით (იხ. დანართი).

ხმის დამთვლელი კომისიის მიერ ოქმით დაფიქსირდა შემდეგი:

დარიგდა 28 ბიულეტენი;
ყუთში აღმოჩნდა – 28 ბიულეტენი, მათ შორის 1 ბათილი ბიულეტენი.

რომან ხარბედიას კანდიდატურას მხარი დაუჭირა წარმომადგენლობითი საბჭოს 27 წევრმა, წინააღმდეგი – 0;

ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი ხელმოწერილია ხუთივე წევრის მიერ (იხ. დანართი).

გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე რომან ხარბედიას კანდიდატურა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი კახაბერ ლორია

სხდომის მდივანი სოფიო ქვარცხავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის
დებულება

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „თსუ“) იურიდიული ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“) წარმოადგენს თსუ-ის საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ფარგლებში ახორციელებს სასწავლო პროგრამებსა და კვლევებს სამართლის მიმართულებით.
2. ფაკულტეტი ვალდებულია, შეუქმნას სტუდენტს საუკეთესო პირობები სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის, უზრუნველყოს სამართალმცოდნეობის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი და მიეცემა ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დიპლომი.
3. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება თსუ წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით.
4. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

მუხლი 2. ფაკულტეტის დებულების მოქმედება

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს იურიდიული ფაკულტეტის სტრუქტურას, მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესსა და უფლება-მოვალეობებს.
2. იურიდიული ფაკულტეტის დებულება შესასრულებლად სავალდებულოა იურიდიული ფაკულტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის, პერსონალისა და სტუდენტისათვის.

თავი II
ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 3. ფაკულტეტის სტრუქტურა

იურიდიული ფაკულტეტი შედგება საგანმანათლებლო-სამეცნიერო, სამეცნიერო-კვლევითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან.

მუხლი 4. სტრუქტურული ორგანოების შექმნისა და გაუქმების წესი

ფაკულტეტის ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 5. მართვის ორგანოები

ფაკულტეტის მართვა ხორციელდება შემდეგი ორგანოების მეშვეობით: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

თავი III
ფაკულტეტის საბჭო

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭოს დაკომპლექტება

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგელობაში შედის ფაკულტეტზე არსებული პროგრამული მიმართულებებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე არჩეული აკადემიური პერსონალი და სტუდენტთა თვითმმართველობების წარმომადგენლები.
2. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის აირჩევა ფაკულტეტზე არსებული პროგრამული მიმართულებებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე.
3. ფაკულტეტის საბჭოს ფორმირებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები რეგულირდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებები

ფაკულტეტის საბჭო:
ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტს;
ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;
გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
ვ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ზ) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;
თ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თავი IV
ფაკულტეტის დეკანი

მუხლი 8. ფაკულტეტის დეკანის სტატუსი

იურიდიულ ფაკულტეტს ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი.

მუხლი 9. დეკანის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის დეკანი აირჩევა გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით ოთხი წლის ვადით.
2. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
3. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.
4. ფაკულტეტის დეკანად შეიძლება აირჩეს ასოცირებული ან სრული პროფესორი. კანდიდატად რეგისტრაციისათვის აუცილებელია ავტობიოგრაფიისა და ფაკულტეტის განვითარების კონცეფციის წარმოდგენა. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციაზე გადაწყვეტილებას ღებულობს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. თითოეული კანდიდატი რეგისტრირებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
5. ფაკულტეტის დეკანს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტედენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად 3 დღეში ტარდება ხელახალი კენჭისყრა. არჩევნების მეორე ტური ტარდება პირველი ტურის ჩატარებიდან 7

დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ მოხერხდა დეკანის არჩევა, ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.
6. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების წესს აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 10. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილებები

1. ფაკულტეტის დეკანი:
ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;
ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;
დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;
ვ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;
ზ) პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;
თ) ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.
2. უფლებამოსილებების უკეთ განხორციელების მიზნით იურიდიული ფაკულტეტის დეკანს ჰყავს ორი მოადგილე, რომელთაგან ერთი ზედამხედველობს რესურსების მართავასა და ჯეროვან გამოყენებას, ხოლო მეორე - სასწავლო პროცესის ხარისხიანად დაგეგმვასა და წარმართვას.

მუხლი 11. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
2. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას

თავი V
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

მუხლი 12. სტატუსი

1. ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მოქმედებს ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი ასოცირებული ან სრული პროფესორი.

მუხლი 13. უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) გამოყენების გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.
3. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ნაწილს.

მუხლი 14. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის საბჭოს შეიძლება წარედგინოს ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა.
2. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს.
3. თუ ვერცერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმების ეს რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად ტარდება ხელახალი კენჭისყრა გამარჯვებულის გამოსავლენად. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

თავი VI
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

მუხლი 15. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სტატუსი

სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.

მუხლი 16. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.
2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული.
3. უნივერსიტეტის წესდებით შეიძლება განისაზღვროს სადისერტაციო საბჭოში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირის მოწვევის წესი და პირობები.

მუხლი 17. საქმიანობის წესი

სადისერტაციო საბჭო მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, დამტკიცებული დებულების შესაბამისად და დოქტორის ხარისხს ანიჭებს მეცნიერების იმ დარგებში, რომლებიც განსაზღვრულია მისივე დებულებით.

თავი VII
სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 18. პროგრამული მიმართულებები

1. ფაკულტეტის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს პროგრამული მიმართულებები.
2. იურიდიულ ფაკულტეტზე არსებობს შემდეგი პროგრამული მიმართულებები:
ა) საერთაშორისო სამართლის;
ბ) კერძო სამართლის;
გ) სამართლის ისტორიის;
დ) სამართლის მეთოდების;
ე) საჯარო სამართლის;
ვ) სისხლის სამართლის

მუხლი 19. პროგრამული მიმართულების შემადგენლობა

პროგრამული მიმართულება შედგება ამ მიმართულებით მომუშავე ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისაგან.

მუხლი 20. საქმიანობა

პროგრამული მიმართულება განსზღვრავს სამართლის შესაბამისი დარგებისა და იურიდიული დისციპლინების სწავლების მეთოდებს, ფორმებს, ამ მიმართულებით არსებული სამეცნიერო კვლევებისა და მიღწევების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, შეიმუშავებს ერთიან მიდგომას სასწავლო პროცესის ჰარმონიზაციისა და გამრავალფეროვნებისათვის.

მუხლი 21. ინსტიტუტები

1. ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები:
ა)საერთაშორისო სამართლის;
ბ) კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის;
გ) დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების;
დ) სანოტარო სამართლის;
ე) სისხლის სამართლისა და სისხლის პროცესის;
ვ) შედარებითი და ეროვნული კონსტიტუციური სამართლის;
ზ) ძველი ქართული სამართლის, რომანისტიკისა და სამართლის ისტორიის.
2. ინსტიტუტის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება წინამდებარე დებულებით. კონკრეტული ინსტიტუტის მიზნები, კვლევების და სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებები განისაზღვრება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით.

მუხლი 22. ინსტიტუტის შემადგენლობა

1. ინსტიტუტის შედგება ინსტიტუტის დირექტორის, წევრებისა, მდივნისა და დამხმარე პერსონალისაგან.
2. ინსტიტუტის საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი ინსტიტუტის წევრებთან ერთად.
3. ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.

მუხლი 23. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი იქმნება თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სხვა მეცნიერებისაგან, მათი სურვილის შესაბამისად. ინსტიტუტისმ მეცნიერ-თანამშრომლად შესაძლებელია

მოწვეულ იქნეს შესაბამისი დარგის მეცნიერი, რომელსაც თსუ-ში არ უკავია აკადემიური თანამდებობა.
2. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი მონაწილეობას იღებს ინსტიტუტის გეგმით გათვალისწინებული პროექტის (პროექტების) შესრულებაში.
3. მეცნიერ-თანამშრომელს უფლება აქვს:
ა) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, მეთოდები და სხვა საშუალებები;
ბ) მონაწილეობა მიიღოს დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებსა და სხვა ღონისძიებებში;
გ) წარმართოს ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებული იქნება ინსტიტუტის მიერ დასახული ამოცანების შესრულებასთან.
4. ინსტიტუტის დირექტორის, ისევე როგორც ინსტიტუტის სხვა პერსონალს შესაძლებელია მიეცეს ანაზღაურება. ანაზღაურების ოდენობა და პირობები განისაზღვრება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 24. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის დირექტორი და სამეცნიერო პერსონალი ქმნის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს.
2. საჭიროების შემთხვევაში საბჭოს უფლება აქვს ხმათა უმრავლესობით საბჭოს წევრად აირჩიოს სხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი.
3. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობს ინსტიტუტის დირექტორი.
4. სამეცნიერო საბჭო განიხილავს და წყვეტს ინსტიტუტის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს, კერძოდ:
ა) განიხილავს და განსაზღვრავს ინსტიტუტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
ბ) განიხილავს და ამტკიცებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმებს;
გ) განიხილავს ინსტიტუტის სტრუქტურის შეცვლის, აგრეთვე, საკვლევ სამუშაოთა ჩასატარებლად განსაზღვრული სახსრების მოძიებისა და გამოყენების საკითხებს;
დ) განიხილავს სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხებს;
ე) ისმენს და განიხილავს სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის ანგარიშებს;
ვ) განიხილავს ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის ეფექტურობის საკითხებს, უცხო ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთობლივი კვლევების შესრულების მიმდინარეობას, ისმენს და განიხილავს ინსტიტუტის თანამშრომელთა ანგარიშებს უცხოეთში სამეცნიერო მივლინების შესახებ;
ზ) იღებს გადაწყვეტილებას სამეცნიერო ჟურნალის დაარსების (გაუქმების) შესახებ, შეარჩევს ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებს და პერიოდულად ისმენს მათი მუშაობის ანგარიშს;
თ) წარადგენს ღირსეულ მეცნიერთა შრომებს პრემიებისა და ჯილდოების მოსაპოვებლად;

ი) ადგენს კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირების მიზანშეწონილობის საკითხებს;
კ) იღებს გადაწყვეტილებას ინსტიტუტში პირთა გაწევრიანებასთან დაკავშირებით;
ლ) უფლებამოსილია ყველა იმ საკითხზე, რომელიც ინსტიტუტის სამეცნიერო აქტივობასა და საქმიანობას შეეხება.
5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებს წარმართავ ინსტიტუტის დირექტორი.
6. სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა. საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სხდომაზე დამსწრე საბჭს წევრთა ნახევარზე მეტმა. საბჭო საკითხს წყვეტს ღია კენჭისყრით, თუ საგანგებოდ არ დადგინდა ფარული კენჭისყრის აუცილებლობა. საბჭოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ინსტიტუტის ხელმძღვანელობისთვის.
7. სამეცნიერო საბჭოს სხდომის მიმდინარეობის თაობაზე დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.
8. სამეცნიერო საბჭო თავად განსაზღვრავს მდივნის კანდიდატურას ღია კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 25. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის წესი

1. ინსტიტუტის დირექტორს, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციით და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის წარდინების საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
2. ინსტიტუტის დირექტორად შეიძლება დაინიშნოს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან სადისერტაციო საბჭოს წევრი, რომელიც არის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წევრი.
3. ინსტიტუტის დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება ერთი წლის ვადით.

მუხლი 26. ინსტიტუტის დირექტორის უფლებამოსილებები

ინსტიტუტის დირექტორი:
ა) ხელმძღვანელობას უწევს ინსტიტუტის საორგანიზაციო და სამეცნიერო საქმიანობას, წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობებში;
ბ) თავმჯდომარეობს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს;
გ) იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ძირითად სამეცნიერო მიმართულებებს;
დ) ორგანიზებას უწევს სამეცნიერო პროექტების დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;
ე) ხელს უწყობს ინსტიტუტის სამეცნიერო კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა სახის ორგანიზაციებთან.
ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო კადრების მომზადებას და მეცნიერ-თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

ზ) ორგანიზებას უწევს სამეცნიერო გამოკვლევათა გამოქვეყნებას
თ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს ინსტიტუტის თანამშრომელთა საშტატო ნუსხას, რომელსაც იურიდიული ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს თსუ-ის ადმინისიტრაციის ხელმძღვანელს;

მუხლი 27. ინსტიტუტის სხვა სტრუქტურული ერთეულები

სამეცნიერო საბჭოს წარდგინების საფუძველზე, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ინსტიტუტის შემადგენლობაში შევიდეს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები.

მუხლი 28. ინსტიტუტის საქმიანობის შეწყვეტა

1. ინსტიტუტის საქმიანობის შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით და ფაკულტეტის დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით.
2. ინსტიტუტის საქმიანობის შეწყვეტის (ლიკვიდაციის) შემდეგ მისი ქონება რჩება თსუ-ს.

თავი VIII
დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 29. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები იქმნება ფაკულტეტის გამართული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით.
2. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია: ბიბლიოთეკა, კანცელარია, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, მატერიალური რესურსების მართვის სამსახური.
3. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები შედგება ხელმძღვანელის, ხელმძღვანელის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სპეციალისტებისაგან.
4. დამხმარე სტრუქუტურული ერთეულების თანამშრომელთა საშტატო განრიგსა და ერთეულების ხელმძღვანელებს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

მუხლი 30. ბიბლიოთეკა

1. ფაკულტეტის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდეს ერთი ან რამდენიმე ბიბლიოთეკა.
2. ბიბლიოთეკის გამართულ საქმიანობას უზრუნველყოფს და უძღვება ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი. იგი შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ბიბლიოთეკის განვითარების პროგრამებს.
3. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები, ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობიათვის იურიდიული ფაკულტეტის საბჭო შეიმუშავებს სპეციალურ წესს. (დანართი 1)

3. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

მუხლი 31. კანცელარია

1. იურიდიული ფაკულტეტის კანცელარია წარმოადგენს ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ფაკულტეტზე შემოსული კორესპონდენციის, განხადებებისა და საჩივრების მიღებას, რეგისტრირებას, საექსპედიციო დამუშავებას, სააღრიცხვო-საცნობარო სამუშაოთა შესრულებასა და დანიშნულებისამებრ გადაცემა-დაგზავნას, საჭიროების შემთხვევაში ახდენს დოკუმენტაციის ვიზირებასა და გაცემას უფლებამოსილ პირებზე.
2. იურიდიული ფაკულტეტის კანცელარიას ხელმძღვანელობს კანცელარიის უფროსი.
3. იურიდიული ფაკულტეტის კანცელარიას გააჩნია საკუთარი ბეჭედი და შტამპი.

მუხლი 32. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

სასწავლო პროცესის მართვის სამსახური იურიდიული ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას, სტუდენტთა საინფორმაციო მონაცემთა ბაზის სრულყოფას, შემოსული კორესპონდენციის დამუშავებას, სტუდენტთა ინფორმირებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, სტუდენტთა დასაქმებაზე ორიენტირებულ პროექტებზე მუშაობას.

მუხლი 33. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური იურიდიული ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევების ორგანიზებასა და წახალისებას სამართლის სფეროში, ახალგაზრდა თაობის დაიტერესებას მეცნიერებით, ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო, კვლევით და სასწავლო დაწესებულებებთან ურთიერთობების დამყარებას, ინტერდისციპლინური კვლევების წახალისებას, მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერ იურისტთა მოწვევასა და სამეცნიერო ინტელექტის მოზიდვას იურიდიულ ფაკულტეტზე.

მუხლი 34. მატერიალური რესურსების მართვის სამსახური

მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის დანიშნულებაა მატერიალური რესურსების ეფექტიანად მართვის საფუძველზე უნივერსიტეტის სტუდენტებს და პერსონალს შეუქმნას სწავლის, შრომისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნორმალური პირობები; უზრუნველყოს ფაკულტეტის ბალანსზე არსებული ქონების მფლობელობისა და სარგებლობის ოპტიმალური რეჟიმის დადგენა; იურიდიული ფკულტეტის შესაბამისი ორგანოების,

სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომელთა უზრუნველყოფა შესაბამისი მატერალურ-ტექნიკური ბაზითა და ინვენტარით, სათანადო დონეზე მოაწყოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ტექნიკური ბაზები; განახორციელოს მატერიალურ ფასეულობათა მიღება და მოვლა-პატრონობა მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

თავი IX
პერსონალი

მუხლი 35. პერსონალის შემადგენლობა

ფაკულტეტის პერსონალი შედგება აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან.

მუხლი 36. აკადემიური პერსონალი

1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან.
2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.
3. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.
4. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
5. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესით განსაზღვრული ვადით.
6. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება თსუ-ის წესდებით.

მუხლი 37. ადმინისტრაციული პერსონალი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნებიან: დეკანი, დეკანის მოადგილე/მოადგილეები (ასეთის/ასეთების არსებობის შემთხვევაში) და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურის უფროსი.
2. ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების წესები და პირობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებითა და თსუ-ის წესდებით.
3.ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე განთავისუფლების საფუძვლებია:
ა) პირადი სურვილი;
ბ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
გ) გარდაცვალება;
დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;
ე) 65 წლის ასაკის მიღწევა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და თსუ-ის წესდებითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

თავი X
სტუდენტი

მუხლი 38. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

1. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და თსუ-ის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად.
2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება თსუ-ის წესდებით.
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 39. იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურასა და დოქტორანტურაზე ჩარიცხვა

იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურასა და დოქტორანტურაზე ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და თსუ-ის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 40. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა

1. იურიდიული ფაკლუტეტის სტუდენტური თვითმმართველობა შედგება იურიდიული ფაკულტეტზე ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე არჩეული სტუდენტებისაგან.
2. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, თსუ-ის წესდებითა და თსუ-ის სტუდენტური თითმმართველობის დებულებით.

თავი XI
ფაკულტეტის ბიუჯეტი და ფინანსები

მუხლი 41. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. იურიდიული ფაკულტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს თსუ-ის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს.
2. თსუ-ის წესდებით დადგენილი წესით, ფაკულტეტი მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში.

მუხლი 42. ფაკულტეტის ფინანსები

ფაკულტეტი მის მიერ მოზიდული ფინანსებისა და მის მფლობელობაში არსებული ქონების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით.

თავი XII
ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 43. ფაკულტეტის დებულების მიღების, გაუქმების, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

1. ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭო.
2. ფაკულტეტის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ამ მუხლი პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

თავი XIII
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 44. დებულების მიღება და ამოქმედება

1. დებულება დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.
2. დებულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს იურიდიული ფაკულტეტის დროებითი დებულება.
3. დებულება ამოქმედდეს თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი

ი. ბურდული

თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

კ. ლორია

დანართი 1.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკის სტრუქტურა და საქმიანობის წესი

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

წინამდებარე წესი არეგულირებს საბიბლიოთეკო საქმიანობის საკითხებს, ორგანიზაციას, ბიბლიოთეკის პერსონალის უფლება-მოვალეობებს, უნივერსიტეტის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობის ძირითად მიმართულებებს.

მუხლი 2. საბიბლიოთეკო საქმიანობის მიზნები

აქტის ძირითადი მიზანია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში (შემდგომში – ბიბლიოთეკა) არსებული ლიტერატურისა და საკანონმდებლო მასალის დაცვის, შენახვისა და გამოყენების სამართლებრივი რეგულირება; ბიბლიოთეკის საქმიანობის წარმართვა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ცივილიზებული ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესების ძირითადი სტანდარტების საფუძველზე.

მუხლი 3. საბიბლიოთეკო მომსახურების ამოცანები

საბიბლიოთეკო მომსახურების ამოცანებია:

ა) იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შეთავაზებული სასწავლო პროგრამით მითითებული ლიტერატურითა და საკანონმდებლო მასალით მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება;

ბ) კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის უზრუნველყოფა;

გ) ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ლიტერატურის და საკანონმდებლო მასალის მოზიდვა;

დ) სამეცნიერო და სხვა ინტელექტუალური ხასიათის ღონისძიებებისთვის ხელშეყობა, თუკი ეს არ შეაფერხებს ბიბლიოთეკის გამართულ მუშაობას.

თავი II
ბიბლიოთეკის სტატუსი და სტრუქტურა

მუხლი 4. ბიბლიოთეკის სტატუსი

1. ბიბლიოთეკა არის იურიდიული ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი დამხმარე სტრუქტურული ერთეული.
2. ბიბლიოთეკა არის სასემინარო ტიპის დაწესებულება.

მუხლი 5. ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური ფასეულობა, როგორც თსუ საკუთრების ობიექტი

1. ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური ფასეულობა ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

2. ბიბლიოთეკისთვის, როგორც იურდიული ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი დამხმარე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბებამდე, გადმოცემული უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ლიტერატურისა და საკანონმდებლო მასალის დაცვას, შენახვასა და მის სასაქონლო შეფასებაზე ზედამხედველობას ახორციელებს თსუ ცენტრალური ბიბლიოთეკა. ამ ნორმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული საკითხები გადაიჭრება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 6. ბიბლიოთეკის თანამშრომლობა

1. ბიბლიოთეკა საკუთარი ამოცანების განსახორციელებლად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან, რომლის ხელმძღვანელს უნივერსიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურისა და საკანონმდებლო მასალის, მისი რაოდენობისა და ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შესახებ.

2. ბიბლიოთეკას თავისი საქმიანობის ოპტიმიზაციისთვის შეუძლია, დადგენილი წესის შესაბამისად, ითანამშრომლოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

მუხლი 7. ბიბლიოთეკის სტრუქტურა

1. ბიბლიოთეკის საქმიანობას მართავს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.

2. ბიბლიოთეკას ჰყავს სპეციალისტები და სტუდენტური დასაქმების ფარგლებში შერჩეული დამხმარე პერსონალი (მენეჯერი), რომელთა რაოდენობა განისაზღვრება ბიბლიოთეკის საჭიროებიდან გამომდინარე.

მუხლი 8. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ფუნქციები

1. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალის შეთანხმებულ მუშაობას;

ბ) დეკანატისთვის აქტუალური ინფორმაციის მიწოდება და არსებული პრობლემის მოგვარების რაციონალური გეგმის წარდგენა;

გ) ბიბლიოთეკის შემდგომი განვითარებისთვის ოპტიმალური წინადადებების შემუშავება;

დ) დეკანატთან შეთანხმებით ბიბლიოთეკის ფართის დათმობა სამეცნიერო კონფერენციის, მოხსენების და ფაკულტეტის სხვა სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებების ჩასატარებლად;

ე) პროფესორთათვის და სტუდენტთათვის ბიბლიოთეკაში შემოსული ახალი ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე ზედამხედველობა;

ვ) ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით სასარგებლო ბმულების ინტერნეტში მოძიებისა და შესაბამისი საძიებლების ბაზის ფორმირების ხელმძღვანელობა;

ზ) ბიბლიოთეკაში წესრიგის უზრუნველყოფა;

2. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გათვალისწინებით, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ფაკულტეტის დეკანთან იშუამდგომლოს ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის ნაწილის სხვა ბიბლიოთეკაში არსებულ ლიტერატურაზე გაცვლის თაობაზე. ამგვარი გარიგების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს.

მუხლი 9. ბიბლიოთეკის სპეციალისტის და დამხმარე პერსონალის (მენეჯერი) ფუნქციები

ბიბლიოთეკის სპეციალისტი და დამხმარე პერსონალი (მენეჯერი) ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

1) ბიბლიოთეკაში შემოსული მკითხველის მომსახურება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კონსულტაციის გაწევა;

2) მკითხველთა ელექტრონული რეგისტრაცია წიგნის ასლის გადასაღებად გატანისა და შემოტანის შემთხვევაში;

3) კომპიუტერული რესურსრსცენტრის გამართული მუშაობაზე ზედამხედველობა;

4) მშვიდი სამუშაო გარემოთი მკითხველის უზრუნველყოფა;

5) წიგნადი ფონდის სისტემატიზაცია და კომპიუტერულ ბაზებში შეტანა;

6) ბიბლიოთეკაში შემოსული წიგნების თანმიმდევრული და დროული შესაბამისი კოდის მინიჭებით;

7) წიგნადი ფონდისადმი გამუდმებული ყურადღების მიქცევა და მონიტორინგი;

8) მენეჯერი და სპეციალისტი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, სისტემატურად ახდენენ დროის მენეჯმენტს ბიბლიოთეკის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის სამუშაო გრაფიკის და მორიგეობის განრიგის შედეგნით;

9) ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით სასარგებლო ბმულების ინტერნეტში მოძიება და შესაბამისი საძიებლების ბაზის ფორმირება;

10) ბიბლიოთეკის ხელმძღვანელისთვის ინფორმაციის მიწოდება ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ და წინადადების მიწოდება ბიბლიოთეკის საქმიანობის შემდგომი ოპტიმიზაციისთვის.

თავი IV ბიბლიოთეკით მოსარგებლე

მუხლი 10. ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება

1. ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურითა და საკანონმდებლო მასალით სარგებლობის უფლება აქვს თსუ სტუდენტს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს მხოლოდ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში.

2. დაუშვებელია ბიბლიოთეკიდან ლიტერატურის ან საკანონმდებლო მასალის გატანა.

3. ბიბლიოთეკიდან, ბიბლიოთეკის თანამშრომელთან შეთანხმებით, შესაძლებელია ისეთი ლიტერატურის ან საკანონმდებლო მასალის გატანა ასლის გადასაღებად, რომლის შეძენა საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლებელია.

2. ბიბლიოთეკის ფართის გამოყენება ღონისძიების ჩასატარებლად ან ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ იურიდიული ფაკულტეტის აკადემიურ ან ადმინისტრაციულ პერსონალს ან სტუდენტს. ამ მოთხოვნიდან გადახვევა შესაძლებელია დეკანის თანხმობით, თუკი ეს არ შეაფერხებს ფაკულტეტის გამართულ მუშაობას.

მუხლი 11. მკითხველის სტატუსის მოპოვება და მისი დაშვება ბიბლიოთეკაში

1. მე-10 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული პირები ბიბლიოთეკაში დაიშვებიან თსუ მიერ გაცემული შესაბამისი სტატუსის დამადასტურებლი დოკუმენტის ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალისთვის წარდგენის შემდეგ.

2. ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით მკითხველად დაიშვება სხვა პირიც.

მუხლი 12. ბიბლიოთეკით მოსარგებლის უფლებები

ბიბლიოთეკით მოსარგებლე უფლებამოსილია:

ა) ისარგებლოს ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით, საკანონმდებლო მასალით და კომპიუტერული ტექნიკით;

ბ) მიიღოს სრული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საბიბლიოთეკო საქმიანობასთან;

გ) საკუთარი ხარჯებით გადაიღოს ლიტერატურის ან საკნონმდებლო მასალის ასლები;

დ) მოითხოვოს წესრიგის დაცვა ბიბლიოთეკაში.

მუხლი 13. ბიბლიოთეკით მოსარგებლის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

1. ბიბლიოთეკით მოსარგებლის მოვალეობებია:

ა) გაეცნოს ბიბლიოთეკაში მოქმედ წესებს;

ბ) დაიცვას წესრიგი;

გ) პატივი სცეს და დაემორჩილოს ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალის მითითებებს;

დ) გაუფრთხილდეს ბიბლიოთეკაში არსებულ მატერიალურ ფასეულობას და მისი დაზიანების აღმოჩენის შესახებ შეატყობინოს ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალს;

გ) არ გაიტანოს ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური ფასეულობა ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალის ნებართვის გარეშე;

დ) არ აიღოს მისთვის საინტერესო ლიტერატურა ან საკანონმდებლო მასალა ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალის გარეშე.

2. ბიბლიოთეკით მოსარგებლე პასუხს აგებს მოვალეობების დარღვევისათვის და საჭიროების შემთხვევაში ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

მუხლი 14. ბიბლიოთეკით მოსარგებლის პასუხისმგებლობის სახეები და მისი გამოყენება

1. მკითხველის მიერ დაკისრებული მოვალეობების დარღვევისთვის ბიბლიოთეკის თანამშრომელს შეუძლია პასუხიმგებლობის სახით გამოიყენოს:

ა) გაფრთხილება;

ბ) ბიბლიოთეკიდან გაძევება;

გ) ზარალის ანაზღაურება.

2. მატერიალური ფასეულობის დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს ფაქტის შემსწრე ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალი და ზარალის მიმყენებელი და ამის შესახებ ეცნობება ფაკულტეტის დეკანს. თუ ზარალის მიმყენებელი ხელის მოწერაზე უარს აცხადებს ამის შესახებ კეთდება ჩანაწერი ოქმში ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მიერ.

3. ფაკულტეტის დეკანი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან ერთად განსაზღვრავს ზარალის ოდენობას და ოქმის ასლს გადასცემს ზარალის მიმყენებელს, რომელიც ოქმის დედანზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მიიღო ოქმის ასლი.

4. ზარალი უნდა ანაზღაურდეს ოქმის ჩაბარების დღიდან 1 თვის განმავლობაში.